

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეთერ ჩიჩუა

კირხჰოფისა და ტიმოშენკოს ტიპის ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური
განტოლების მიახლოებითი ამოხსნა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

მათემატიკის დეპარტამენტი

ნაშრომი შესრულებულია მათემატიკის მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი - ჯემალ ფერაძე

თბილისი

2017

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ზოგიერთი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანა ძელისა და სიმეტრიული ფირფიტისათვის. ამოცანების ამოსახსნელად გამოყენებულია რიცხვითი ალგორითმები და შესწავლილია მათი სიზუსტე.

I თავში დასმულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანა კირხჰოფის ტიპის სტატიკური ძელისათვის. გრინის ფორმულის გამოყენებით შესაბამისი დიფერენციალური განტოლება დაყვანილია ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე, რომელიც ამოხსნილია იტერაციული მეთოდით. დამტკიცებულია მეთოდის კრებადობა, შეფასებულია კრებადობის სიჩქარე. ამოხსნილია მაგალითი.

II თავში განხილულია სასაზღვრო ამოცანა ტიმოშენკოს არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებეთა სისტემისათვის, რომელიც აღწერს სიმეტრიულად დატვირთული ფირფიტის ყოფაქცევას. გალიორკინის მეთოდის გამოყენების შედეგად მიიღება დისკრეტულ განტოლებათა სისტემა, რომლის ამოსახსნელად გამოყენებულია იაკობ-კარდანოს იტერაცია. დამტკიცებულია თეორემა იტერაციული პროცესის სიზუსტის შესახებ. შედგენილია კრებადობის პირობების ცხრილი.

III თავში განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა ტიმოშენკოს დინამიური ძელისათვის. სივრცული ცვლადის მიმართ ამონახსნის მიახლოების მიზნით გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი, შეფასებულია ცდომილება.

Annotation

The following thesis deals with some problems of the beam and the symmetric plate with boundary and initial-boundary value. For the problems numerical methods are used, with their accuracies being examined.

In the first chapter the nonlinear boundary problem for a Kirchhoff type static beam is stated. Corresponding differential equation, by the use of Green's function, is reduced to an integral equation, which is solved with iterational method. The convergence of the method is established, speed of convergence is estimated, example is solved.

In the second chapter boundary value problem, describing symmetrically loaded plate behavior, for a Timoshenko system of nonlinear differential equations is discussed. By the use of Galerkin method system of discrete equations is obtained, incorporating Jacobi-Cardano iteration for its solution. Theorem regarding the accuracy of iterational process is proved. Table of convergence conditions is composed.

The third chapter inspects the initial-boundary problem for Timoshenko dynamic beam. To approximate the solution with respect to a spatial variable, the Galerkin method is used, the error is estimated.

სარჩევი

I თავი.	კირხჰოფის ტიპის სტატიკური ძელისათვის განტოლების მიახლოებითი ამონახსნის შესახებ	5
1.	ამოცანის ჩამოყალიბება	5
2.	დაშვებები	7
3.	ამოხსნის მეთოდი	7
4.	სისტემა მეთოდის ცდომილებისათვის	8
5.	დამხმარე უტოლობები	9
6.	მეთოდის კრებადობა	12
7.	მაგალითი	14
II თავი.	იტერაციული მეთოდი ტიმოშენკოს სიმეტრიული ფირფიტისათვის	19
1.	ამოცანის ჩამოყალიბება	19
2.	სისტემის გარდაქმნა	20
3.	ალგორითმი	22
4.	იტერაციული მეთოდის კრებადობა	23
5.	იტერაციული პროცესის ცდომილება u , w და ψ ფუნქციებისათვის	27
6.	მაგალითები	30
III თავი.	გალიორკინის მეთოდის სიზუსტე დინამიური ძელის არაწრფივი განტოლებისათვის	33
1.	ამოცანის ჩამოყალიბება	33
2.	ამოხსნადობა	35
3.	დაშვებები	37
4.	გალიორკინის მეთოდი და მისი სიზუსტე	38

I თავი. კირხჰოფის ტიპის სტატიკური ძელისათვის განტოლების მიახლოებითი ამონახსნის შესახებ

ამ თავში განხილულია სასაზღვრო ამოცანა ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის

$$u'''' - m \left(\int_0^l u'^2 dx \right) u'' = f(x, u), \quad m(z) \geq \alpha > 0, \quad 0 \leq z < \infty,$$

რომელიც აღწერს კირხჰოფის ტიპის ძელის სტატიკურ მდგომარეობას. ამოცანა დაყვანილია ინტეგრალურ განტოლებაზე, რომლის ამოსახსნელად გამოყენებულია პიკარდის იტერაციული მეთოდი. დადგენილია იტერაციული პროცესის კრებადობა და შეფასებულია ცდომილება.

1. ამოცანის ჩამოყალიბება

განვიხილოთ ძელის არაწრფივი განტოლება

$$u''''(x) - m \left(\int_0^l u'^2(x) dx \right) u''(x) = f(x, u), \quad 0 < x < l, \quad (1)$$

პირობებით

$$u(0) = u(l) = 0, \quad u''(0) = u''(l) = 0. \quad (2)$$

აქ $u = u(x)$ არის l სიგრძის ძელის გადაადგილების ფუნქცია, რომელზე მოქმედი ძალა მოიცემა ფუნქციით $f(x, u)$, ფუნქცია $m(z)$,

$$m(z) \geq \alpha > 0, \quad 0 \leq z < \infty, \quad (3)$$

აღწერს კავშირს ძაბვასა და დეფორმაციას შორის. სახელდობრ, თუ $m(z)$ ფუნქცია წრფივია, მაშინ კავშირი შეესაბამება ჰუკის წრფივ კანონს, ხოლო სხვა შემთხვევაში ეს კავშირი არაწრფივი სახისაა.

(1) განტოლება არის სტაციონარული ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს შემდეგი განტოლებიდან

$$u_{tt} + u_{xxxx} - m\left(\int_0^l u_x^2 dx\right)u_{xx} = f(x, t, u),$$

$$m(z) \geq \text{const} > 0,$$

რომელიც იმ შემთხვევაში, როცა $m(z) = m_0 + m_1 z$, $m_0, m_1 > 0$ და $f(x, t, u) = 0$, შემოთავაზებული იყო ვონოვსკი-კრიეგერის მიერ [13], როგორც ფიქსირებული ბოლოების მქონე დინამიური, ჰიმვადი ძელის მოდელი. არაწრფივი წევრი $\int_0^l u_x^2 dx$ პირველად გამოიყენა კირხჰოფმა [3], რომელმაც განაზოგადა დალამბერის კლასიკური წრფივი მოდელი. ამიტომ (1)-ს უწოდებენ კირხჰოფის ტიპის განტოლებას სტატიკური ძელისთვის.

(1) ტიპის განტოლებების ამოხსნადობა შესწავლილია [4]–[6] და [12]-ში, ხოლო რიცხვითი ალგორითმების აგება და მათი სიზუსტის დადგენა გამოკვლეულია [1], [5], [7], [10] და [11]-ში.

აქ ჩვენ, იმისათვის, რომ მივიღოთ (1), (2) ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი, გამოყენებული გვაქვს მიდგომა [9], რომელიც განსხვავდება თანდართული ზემოხსენებული წყაროებში განხილული მეთოდებისგან. ეს მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ გრინის ფუნქციის გამოყენებით (1), (2) ამოცანა დაიყვანება არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებაზე, რომლის ამოსახსნელადაც ვიყენებთ იტერაციულ მეთოდს. დადგენილია მეთოდის კრებადობის პირობა და შეფასებულია მისი სიზუსტე.

შევნიშნოთ, რომ გრინის ფუნქციის მეთოდი იტერაციულ პროცესთან ერთად გამოყენებულია ტიმოშენკოს სიმეტრიული ფირფიტისთვის ამოცანის ამოსახსნელად [8].

2. დაშვებები

დავუშვათ (3)-ის გარდა $m(z)$ ფუნქცია ასევე აკმაყოფილებს პირობას

$$|m(z_2) - m(z_1)| \leq l_1 |z_2 - z_1|, \quad 0 \leq z_1, z_2 < \infty, \quad l_1 = \text{const} > 0. \quad (4)$$

რაც შეეხება $f(x, u)$ ფუნქციას, ვიგულისხმობთ, რომ $f(x, u) \in L_2((0, l); \mathbf{R})$ და, გარდა ამისა სრულდება ტოლობები

$$\begin{aligned} |f(x, u)| &\leq \sigma_1 + \sigma_2 |u|, \quad |f(x, u_2) - f(x, u_1)| \leq l_2 |u_2 - u_1|, \\ 0 < x < l, \quad u, u_1, u_2 &\in \mathbf{R}, \\ \sigma_i = \text{const}, \quad i = 1, 2, \quad \sigma_1 > 0, \quad \sigma_2 &\geq 0, \quad l_2 = \text{const} > 0. \end{aligned} \quad (5)$$

შემოვიღოთ კიდევ ერთი შეზღუდვა ძელის l სიგრძისათვის და α, σ_2 პარამეტრებისათვის (3) და (5)-დან. დავუშვათ, რომ

$$\omega = \alpha + \frac{2}{l^2} - \sigma_2 \frac{l^2}{2} > 0. \quad (6)$$

დავუშვათ, არსებობს (1), (2) ამოცანის ამონახსნი და $u(x) \in W_0^{2,2}(0, l)$ [2].

3. ამოხსნის მეთოდი

გამოვიყენოთ გრინის ფუნქცია ამოცანისათვის $u''''(x) - au''(x) = f(x)$, $0 < x < l$, $u(0) = u(l) = 0$, $u''(0) = u''(l) = 0$, $a = \text{const} > 0$. გარკვეული გარდაქმნების შედეგად (1), (2) ამოცანა დაიყვანება არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებამდე

$$u(x) = \int_0^l G(x, \xi) f(\xi, u(\xi)) d\xi + \frac{1}{\tau} \varphi(x), \quad (7)$$

სადაც

$$G(x, \xi) = \frac{1}{\tau \sqrt{\tau} \sinh(\sqrt{\tau} l)} \begin{cases} \sinh(\sqrt{\tau}(x-l)) \sinh(\sqrt{\tau} \xi), & 0 < \xi \leq x < l, \\ \sinh(\sqrt{\tau}(\xi-l)) \sinh(\sqrt{\tau} x), & 0 < x \leq \xi < l, \end{cases}$$

$$\tau = m\left(\int_0^l u'^2(x)dx\right),$$

$$\varphi(x) = \frac{1}{l}\left((l-x)\int_0^x f(\xi, u(\xi))d\xi + x\int_x^l (l-\xi)f(\xi, u(\xi))d\xi\right).$$

(7) განტოლება ამოვხსნათ პიკარდის იტერაციული მეთოდის საშუალებით. $u_0(x)$, $0 \leq x \leq l$, ფუნქციის შერჩევის შემდეგ, რომელიც თავის მეორე რიგის წარმომებულთან ერთად ნულის ტოლი ხდება $x=0$ და $x=l$ წერტილებში, ვპოულობთ მომდევნო მიახლოებებს შემდეგი ფორმულის გამოყენებით

$$u_{k+1}(x) = \int_0^l G_k(x, \xi)f(\xi, u_k(\xi))d\xi + \frac{1}{\tau_k}\varphi_k(x), \quad 0 < x < l, \quad k = 0, 1, \dots, \quad (8)$$

სადაც

$$G_k(x, \xi) = \frac{1}{\tau_k \sqrt{\tau_k} \sinh(\sqrt{\tau_k} l)} \times \begin{cases} \sinh(\sqrt{\tau_k}(x-l)) \sinh(\sqrt{\tau_k} \xi), & 0 < \xi \leq x < l, \\ \sinh(\sqrt{\tau_k}(\xi-l)) \sinh(\sqrt{\tau_k} x), & 0 < x \leq \xi < l, \end{cases}$$

$$\tau_k = m\left(\int_0^l u_k'^2(x)dx\right),$$

$$\varphi_k(x) = \frac{1}{l}\left((l-x)\int_0^x f(\xi, u_k(\xi))d\xi + x\int_x^l (l-\xi)f(\xi, u_k(\xi))d\xi\right),$$

$$k = 0, 1, \dots,$$

და $u_k(x)$ არის (7) განტოლების ამონახსნის k -ური მიახლოება

4. სისტემა მეთოდის ცდომილებისათვის

ჩვენი მიზანია შევაფასოთ მეთოდის ცდომილება, რის ქვეშაც ჩვენ გვესმის სხვაობა

$$\delta u_k(x) = u_k(x) - u(x), \quad k = 0, 1, \dots \quad (9)$$

ამისათვის, მიზანშეწონილია (8) ფორმულის ნაცვლად გამოვიყენოთ განტოლებები

$$u_{k+1}''''(x) - m \left(\int_0^l u_k'^2(x) dx \right) u_{k+1}''(x) = f(x, u_k(x)), \quad 0 < x < l, \quad (10)$$

$$u_k(0) = u_k(l) = 0, \quad u_k''(0) = u_k''(l) = 0, \quad k = 0, 1, \dots, \quad (11)$$

რომელიც გამომდინარეობს (8) ფორმულიდან .

თუ (10) and (11) ტოლობებს გამოვაკლებთ (1) და (2)-ს მივიღებთ

$$\begin{aligned} \delta u_k''''(x) - \frac{1}{2} \left(m \left(\int_0^l u_{k-1}'^2(x) dx \right) + m \left(\int_0^l u'^2(x) dx \right) \right) \delta u_k''(x) \\ + \left(m \left(\int_0^l u_{k-1}'^2(x) dx \right) - m \left(\int_0^l u'^2(x) dx \right) \right) (u_k''(x) + u''(x)) \\ = f(x, u_{k-1}(x)) - f(x, u(x)), \end{aligned} \quad (12)$$

$$\delta u_k(0) = \delta u_k(l) = 0, \quad \delta u_k''(0) = \delta u_k''(l) = 0, \quad k = 1, 2, \dots \quad (13)$$

(12) სისტემა და (13) პირობები არის მეთოდის ცდომილების შეფასების გამოსავალი წერტილი. მანამდე უნდა მივიღოთ რამდენიმე აპრიორული შეფასება. შემოვიღოთ ნორმა $W_0^{2,2}(0, l)$ -ში

$$\|u(x)\|_p = \left(\int_0^l \left(\frac{d^p u}{dx^p}(x) \right)^2 dx \right)^{\frac{1}{2}}, \quad p = 0, 1, 2, \quad \|u(x)\| = \|u(x)\|_0.$$

(·, ·) სიმბოლო აღნიშნავს სკალარულ ნამრავლს $L_2(0, l)$ -ში.

5. დამხმარე უტოლობები

მივიღოთ რამდენიმე შეფასება.

ლემა 1. $u(x) \in W_0^{2,2}(0, l)$ -სთვის სამართლიანია შეფასებები

$$\frac{\sqrt{2}}{l} \|u(x)\| \leq \|u(x)\|_1 \leq \frac{l}{\sqrt{2}} \|u(x)\|_2. \quad (14)$$

დამტკიცება. $u(x) = \int_0^x u'(\xi) d\xi$ ტოლობის გამოყენებით მივიღებთ

$$\|u(x)\|_1 \leq \left(\int_0^x d\xi\right)^{\frac{1}{2}} \left(\int_0^x u'^2(\xi) d\xi\right)^{\frac{1}{2}} \leq x^{\frac{1}{2}} \|u(x)\|_1.$$

რაც შეესაბამება (14) უტოლობის მარჯვენა მხარის დამტკიცებას გამოვიყენოთ ბოლო უტოლობა. მხედველობაში მივიღოთ, რომ

$$\|u(x)\|_1^2 = u(x)u'(x) \Big|_0^l - (u(x), u''(x)) = -(u(x), u''(x)) \leq \|u(x)\| \cdot \|u(x)\|_2.$$

ლემა დამტკიცებულია. ■

ლემა 2. $u(x) \in W_0^{2,2}(0, l)$ -სთვის სრულდება უტოლობა

$$\|f(x, u(x))\| < \sigma_1 l^{\frac{1}{2}} + \sigma_2 \frac{l}{\sqrt{2}} \|u(x)\|_1. \quad (15)$$

დამტკიცება. (5)-ის გამოყენებით შეგვიძლია დავწეროთ

$$\|f(x, u(x))\| \leq \sigma_1 \left(\int_0^l dx\right)^{\frac{1}{2}} + \sigma_2 \|u(x)\|.$$

გარდა ამისა გავითვალისწინოთ (14). შედეგად მივიღებთ (15).

ლემა დამტკიცებულია. ■

ლემა 3. (1), (2) ამოცანის ამონახსნისთვის სრულდება უტოლობა

$$\|u(x)\|_1 \leq c_1, \quad (16)$$

სადაც

$$c_1 = \frac{1}{\omega} \sigma_1 l \left(\frac{l}{2}\right)^{\frac{1}{2}}. \quad (17)$$

დამტკიცება. (1) განტოლება გავამრავლოთ $u(x)$ -ზე და მიღებული ტოლობა ვაინტეგრიროთ x -ის მიმართ 0-დან l -მდე. (2)-ის გამოყენებით გვექნება

$$\|u(x)\|_2^2 + m(\|u(x)\|_1^2)\|u(x)\|_1^2 = (f(x, u(x)), u(x)).$$

(14) და (3) -დან მივიღებთ

$$\left(\alpha + \frac{2}{l^2}\right)\|u(x)\|_1^2 \leq \frac{l}{\sqrt{2}}\|f(x, u(x))\|\|u(x)\|_1.$$

ამიტომ (15) -ის გამო

$$\left(\alpha + \frac{2}{l^2} - \frac{1}{2}\sigma_2 l^2\right)\|u(x)\|_1 \leq \sigma_1 l \left(\frac{l}{2}\right)^{\frac{1}{2}}.$$

ამ გამოსახულებისა და (6)-დან გამომდინარეობს (16).

ლემა დამტკიცებულია. ■

ლემა 4. (8) იტერაციული მეთოდის მიახლოება აკმაყოფილებს უტოლობას

$$\|u_k(x)\|_1 \leq c_2, \quad k = 1, 2, \dots, \quad (18)$$

სადაც

$$c_2 = \begin{cases} c_1, & \sigma_2 = 0, \\ c_1 + a^{-1} \max(0, \|u_0(x)\|_1 - c_1), & a = 1 + \frac{2\omega}{\sigma_2 l^2}, \quad \text{if } \sigma_2 \neq 0. \end{cases} \quad (19)$$

დამტკიცება. (10)-განტოლებაში k ჩავანაცვლოთ $k-1$ -ით, მიღებული გამოსახულება გავამრავლოთ $u_k(x)$ -ზე და ვაინტეგრიროთ x -ის მიმართ 0-დან l -მდე. (11)-ის გათვალისწინებით გვექნება

$$\|u_k(x)\|_2^2 + m(\|u_{k-1}(x)\|_1^2)\|u_k(x)\|_1^2 = (f(x, u_{k-1}(x)), u_k(x)), \quad k = 1, 2, \dots$$

(3) და (14)-ის გამოყენებით მივიღებთ

$$\left(\alpha + \frac{2}{l^2}\right) \|u_k(x)\|_1^2 \leq \frac{l}{\sqrt{2}} \|f(x, u_{k-1}(x))\| \|u_k(x)\|_1,$$

რის გამოც

$$\left(\alpha + \frac{2}{l^2}\right) \|u_k(x)\|_1 \leq \frac{l}{\sqrt{2}} \|f(x, u_{k-1}(x))\|.$$

აქედან (15)-ის გამოყენებით დავასკვნით, რომ

$$\|u_k(x)\|_1 \leq \frac{1}{\alpha + \frac{2}{l^2}} l \left(\frac{l}{2}\right)^{\frac{l}{2}} (\sigma_1 + \sigma_2 \left(\frac{l}{2}\right)^{\frac{l}{2}} \|u_{k-1}(x)\|_1).$$

ამიტომ (17), (6) და (19)-დან მივიღებთ (18)-ს $\sigma_2 = 0$ შემთხვევისთვის. იმ შემთხვევაში, როცა $\sigma_2 \neq 0$, ხელახლა ვიყენებთ (17), (6) და (19) -ს. მივიღებთ უტოლობას

$$\|u_k(x)\|_1 \leq c_1(1 - a^{-k}) + a^{-k} \|u_0(x)\|_1 = c_1 + a^{-k} (\|u_0(x)\|_1 - c_1),$$

რომელსაც მივყავართ (18)-მდე. ■

6. მეთოდის კრებადობა

(12) გავამრავლოთ $\delta u_k(x)$ -ზე, ვაინტეგრირებთ მიღებული განტოლება x -ის მიმართ 0-დან l -მდე და გამოვიყენოთ (13). შედეგად მივიღებთ გამოსახულებას

$$\begin{aligned} & \|\delta u_k(x)\|_2^2 + \frac{1}{2} ((m \|u_{k-1}(x)\|_1^2) + m \|u(x)\|_1^2) \|\delta u_k(x)\|_1^2 \\ & + (m \|u_{k-1}(x)\|_1^2 - m \|u(x)\|_1^2) (u_{k'}(x) + u'(x), \delta u_{k'}(x)) \\ & = (f(x, u_{k-1}(x)) - f(x, u(x)), \delta u_k(x)). \end{aligned}$$

(3)-(5) და (14)-დან გამომდინარეობს

$$\begin{aligned}
& \|\delta u_k(x)\|_2^2 + \alpha \|\delta u_k(x)\|_1^2 \\
& \leq \frac{1}{2} l_1 \prod_{p=0}^1 |(u_{k-p}'(x) + u'(x), \delta u_{k-p}'(x))| + l_2 \|\delta u_{k-1}(x)\| \|\delta u_k(x)\| \\
& \leq \frac{1}{2} l_1 \prod_{p=0}^1 (\|u_{k-p}(x)\|_1 + \|u(x)\|_1) \|\delta u_{k-p}(x)\|_1 + \frac{1}{2} l_2 l^2 \prod_{p=0}^1 \|\delta u_{k-p}(x)\|_1.
\end{aligned}$$

(16) და (18)-დნ გამომდინარეობს

$$\|\delta u_k(x)\|_1 \leq \frac{1}{2} \left(\alpha + \frac{2}{l^2} \right)^{-1} (l_1 \prod_{p=0}^1 (\|u_{k-p}(x)\|_1 + \|u(x)\|_1) + l_2 l^2) \|\delta u_{k-1}(x)\|_1 \leq q \|\delta u_{k-1}(x)\|_1,$$

სადაც

$$q = \frac{1}{2} \left(\alpha + \frac{2}{l^2} \right)^{-1} (l_1 (c_1 + c_2)^2 + l_2 l^2).$$

თუ მივიღებთ მხედველობაში (9), (14), (17) და (19), მივიღებთ შემდეგ შედეგს

თეორემა. დავუშვათ სრულდება (3)–(6) და გარდა ამისა

$$\|u_0(x)\|_1 \leq \frac{1}{\omega} \sigma_1 l \left(\frac{l}{2} \right)^{\frac{1}{2}},$$

$$q = \frac{l^2}{\alpha + \frac{2}{l^2}} (l_1 \left(\frac{\sigma_1}{\omega} \right)^2 + \frac{l_2}{2}) < 1$$

მაშინ (8) იტერაციული მეთოდის მიახლოებები იკრიბება (1),(2) ამოცანის ზუსტი ამონახსნისკენ და ცდომილებისათვის მართებულია შემდეგი შეფასება

$$\|u_k(x) - u(x)\|_p \leq \left(\frac{l}{\sqrt{2}} \right)^{1-p} q^k \|u_0(x) - u(x)\|_1, \quad k = 1, 2, \dots, \quad p = 0, 1, \dots$$

7. მაგალითი

განვიხილოთ ამოცანა

$$u''''(x) - \left(1 + \frac{1}{2} \int_0^1 u'^2(x) dx\right) u''(x) = f(x) \quad 0 < x < 1, \quad (20)$$

$$u(0) = u(1) = 0, \quad u''(0) = u''(1) = 0, \quad (21)$$

სადაც $f(x) = -\frac{522}{35}x^2 + \frac{522}{35}x + 24$.

(20), (21) ამოცანის ზუსტი ამონახსნია

$$u(x) = x(x-1)(x^2 - x - 1).$$

გამოვიყენოთ მეთოდი (8). აღვნიშნოთ $a = -\frac{522}{35}$, $b = -a$, $c = 24$ და $\rho_k = \tau_k \sqrt{\tau_k} \sinh(\sqrt{\tau_k})$.

მაშინ $f(x) = ax^2 + bx + c$. გამოთვლების შედეგად მივიღებთ

$$\begin{aligned} & \frac{1}{\rho_k} \left(\sinh(\sqrt{\tau_k}(x-1)) \int_0^x \sinh(\sqrt{\tau_k}\xi) (a\xi^2 + b\xi + c) d\xi + \sinh(\sqrt{\tau_k}x) \int_x^1 \sinh(\sqrt{\tau_k}(\xi-1)) (a\xi^2 + b\xi + \right. \\ & \left. c) d\xi \right) = \frac{1}{\rho_k} \left\{ \sinh(\sqrt{\tau_k}(x-1)) \left[\frac{a}{\sqrt{\tau_k}} \left(\xi^2 + \frac{2}{\tau_k} \right) \cosh(\sqrt{\tau_k}\xi) - \frac{2\xi a}{\tau_k} \sinh(\sqrt{\tau_k}\xi) + \frac{b}{\sqrt{\tau_k}} \xi \cosh(\sqrt{\tau_k}\xi) - \right. \right. \\ & \left. \frac{b}{\tau_k} \sinh(\sqrt{\tau_k}\xi) + \frac{c}{\sqrt{\tau_k}} \cosh(\sqrt{\tau_k}\xi) \right]_0^x + \sinh(\sqrt{\tau_k}x) \left[\frac{a}{\sqrt{\tau_k}} \left(\xi^2 + \frac{2}{\tau_k} \right) \cosh(\sqrt{\tau_k}(\xi-1)) - \frac{2\xi a}{\tau_k} \sinh(\sqrt{\tau_k}(\xi-1)) - \right. \\ & \left. \left. 1) + \frac{b}{\sqrt{\tau_k}} \xi \cosh(\sqrt{\tau_k}(\xi-1)) - \frac{b}{\tau_k} \sinh(\sqrt{\tau_k}(\xi-1)) + \frac{c}{\sqrt{\tau_k}} \cosh(\sqrt{\tau_k}(\xi-1)) \right]_x^1 \right\} = \\ & \frac{1}{\tau_k^2 \sinh(\sqrt{\tau_k})} \left\{ \left(a \left(1 + \frac{2}{\tau_k} \right) + b + c \right) \sinh(\sqrt{\tau_k}x) - \left(\frac{2a}{\tau_k} + c \right) \sinh(\sqrt{\tau_k}(x-1)) - \left(a \left(x^2 + \frac{2}{\tau_k} \right) + bx + \right. \right. \\ & \left. \left. c \right) \sinh(\sqrt{\tau_k}) \right\}. \end{aligned}$$

გარდა ამისა

$$\begin{aligned} & \frac{1}{\tau_k} \left((1-x) \int_0^x \xi f(\xi) d\xi + x \int_x^1 (1-\xi) f(\xi) d\xi \right) \\ & = \frac{1}{\tau_k} \left(-\frac{1}{12} ax^4 - \frac{1}{6} bx^3 - \frac{1}{2} cx^2 + \left(\frac{1}{12} a + \frac{1}{6} b + \frac{1}{2} c \right) x \right) \end{aligned}$$

(8)-ფორმულის საფუძველზე გვექნება

$$u_{k+1}(x) = \frac{1}{\tau_k} \left\{ -\frac{1}{12}ax^4 - \frac{1}{6}bx^3 - \left(\frac{1}{\tau_k}a + \frac{1}{2}c\right)x^2 + \left(\frac{1}{12}a - \frac{1}{\tau_k}b + \frac{1}{6}b + \frac{1}{2}c\right)x - \frac{2}{\tau_k} \left(\frac{1}{\tau_k}a + \frac{1}{2}c\right) + \frac{2}{\tau_k \sinh(\sqrt{\tau_k})} \left[\left(\left(\frac{1}{2} + \frac{1}{\tau_k}\right)a + \frac{1}{2}b + \frac{1}{2}c\right) \sinh(\sqrt{\tau_k}x) - \left(\frac{1}{\tau_k}a + \frac{1}{2}c\right) \sinh(\sqrt{\tau_k}(x-1)) \right] \right\}. \quad (22)$$

მივიღოთ τ_k პარამეტრის გამოსათვლელი ფორმულა. განსაზღვრების თანახმად

$$\tau_k = 1 + \frac{1}{2} \int_0^1 u_k'^2(x) dx$$

ამ ფორმულიდან τ_k პარამეტრის მიახლოებითი მნიშვნელობის მისაღებად გამოვიყენოთ მართკუთხედების კვადრატული ფორმულა. დავყოთ $[0,1]$ სეგმენტი ათ ნაწილად. გვექნება

$$\tau_k = 1 + \frac{1}{20} \sum_{i=1}^{10} (u_k'(x_k))^2,$$

სადაც $x_k = 0.05(2k-1), k = 1, 2, \dots, 10$. $u_k'(x_k)$ -ის მნიშვნელობებს გამოვთვლით (22) ფორმულის საშუალებით. შედეგად გვექნება

$$\tau_k = \varphi(\tau_{k-1}), k = 1, 2, \dots \quad (23)$$

დავუშვათ $\tau_0 = 1$. (23) გამოყენებით მივიღებთ τ პარამეტრის მომდევნო მიახლოებებს, ჩავატაროთ ოთხი იტერაცია. τ_k მნიშვნელობებს გამოვიყენებთ (23) ტოლობაში $u_{k+1}(x)$ მიახლოების მისაღებად.



პროგრამა

```
clear;
clc;
a=-522/35;
b=-a;
c=24;
k=1:10;
x(k)=(2*k-1)*0.05;
syms y;
u = sym(zeros(1,5));
u(1) = 0;
tau = zeros(1,4);
for k=1:4
    tau(k)=1+(1/20)*sum(subs(diff(u(k)),x).^2);
    u(k+1) = 1/tau(k)*(-a*(y.^4)/12-b*(y.^3)/6-(a/tau(k)+c/2)*(y.^2)+...
        (a/12-b/tau(k)+b/6+c/2)*y-(2/tau(k))*(a/tau(k)+c/2)+...
        (2/(tau(k)*sinh(sqrt(tau(k)))))*((1/2+1/tau(k))*a+b/2+c/2)*sinh(sqrt(tau(k))
        *y)-...
        (a/tau(k)+c/2)*sinh(sqrt(tau(k))*(y-1)));
end
U = y^4-2*y^3+y;
for k=1:4
    Y=u(k);
    figure;
    ez1 = ezplot(U,[0 1]);
    hold on
    ezplot(Y,[0 1])
    set(ez1,'color',[1 0 0]);
end;
```



მოციფანოთ გამოთვლების შედეგები

$$\tau_0(x) = 1, \tau_1(x) = 1.2538, \tau_2(x) = 1.2424, \tau_3(x) = 1.2429$$


ქვემოთ ნახაზებზე გამოსახულია ზუსტი ამონახსნი (წითელი ფერის რკალი) და მიახლოებითი ამონახსნი (ლურჯი ფერის რკალი)



90125 $y/5070602400912917605986812821504 + \dots - 43329334765635940589640610069653/3245$



1319 $y/5070602400912917605986812821504 + \dots + 62976174399313910848939050087587/10384$



II თავი. იტერაციული მეთოდი ტიმოშენკოს სიმეტრიული ფირფიტისათვის

განხილული იქნება სასაზღვრო ამოცანა სიმეტრიულად დატვირთული ტიმოშენკოს ფირფიტისათვის [7-9,12]. მოცემული ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემიდან გამოვყოფთ ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებას ფირფიტის W დეფორმაციისთვის, რომელიც, დირიხლეს სასაზღვრო პირობასთან ერთად, წარმოადგენს დამოუკიდებელ სასაზღვრო ამოცანას. W -ს პოვნის შემდეგ ვპოულობთ ფირფიტის დეფორმაციის u და ψ მახასიათებლებს. ამოცანის W ამონახსნის საპოვნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი. შედეგად მიღებული განტოლებათა სისტემის ამონახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი. დადგენილია იტერაციული პროცესის კრებადობა და შეფასებულია ცდომილება. იტერაციული პროცესის კრებადობის პირობების საილუსტრაციოდ მოყვანილია რიცხვითი მაგალითები.

1. ამოცანის ჩამოყალიბება

განვიხილოთ არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა

$$u'' + \frac{1}{2}(w'^2)' + p(x) = 0,$$

$$k_0^2 \frac{Eh}{2(1+\nu)}(w'' + \psi') + \frac{Eh}{1-\nu^2} \left[\left(u' + \frac{1}{2}w'^2 \right) w' \right]' + q(x) = 0, \quad (1)$$


$$\frac{h^2}{6(1-\nu)} \psi'' - k_0^2(w' + \psi) = 0,$$

$$0 < x < 1,$$

სასაზღვრო პირობებით

$$u(0) = u(1) = 0, \quad w(0) = w(1) = 0, \quad \psi'(0) = \psi'(1) = 0. \quad (2)$$

$u = u(x)$, $w = w(x)$ ფირფიტის შუაზედაპირის გადაადგილების, ხოლო $\psi = \psi(x)$ შუაზედაპირის ნორმალის მობრუნების უცნობი ფუნქციებია, $p(x)$ და $q(x)$ მოქმედი ძალების შესაბამისი მოცემული ფუნქციებია (ფიგ. 1). E არის იუნგის მოდული, h არის ფირფიტის სისქე, k_0^2 წანაცვლების კოეფიციენტი და ν პუასონის კოეფიციენტი, $0 < \nu < 0.5$.



ფიგ.1 ფირფიტის გადაადგილება და მასზე მოქმედი ძალები

(1) განტოლებათა სისტემა ასახავს ფირფიტის წონასწორობას მასზე სიმეტრიულად მოქმედი ძალების შემთხვევაში და მიიღება ტიმოშენკოს დინამიური განტოლებებიდან გარსისათვის [10, 11]. ამისათვის, ჩვენ უგულებელვყოფთ ცვლადებს y და t და ვუშვებთ, რომ $k_x = k_y = 0$. ამასთანავე, ვინარჩუნებთ კუბური არაწრფივობის მქონე წევრებს. შევნიშნოთ, რომ ეს განტოლებები ასევე შეიძლება მივიღოთ ტიმოშენკოს განტოლებებიდან ფირფიტისათვის [2]-ში.

2. სისტემის გარდაქმნა

თუ გამოვიყენებთ (1)-ის პირველ და მესამე განტოლებებს და გავითვალისწინებთ შესაბამის სასაზღვრო პირობებს (2)-დან, $u(x)$ და $\psi(x)$ ფუნქციებს გამოვსახავთ $w(x)$ -ის საშუალებით

$$\begin{aligned} u(x) &= \int_0^1 G_u(x, \xi) w'^2(\xi) d\xi + \int_0^1 G_p(x, \xi) p(\xi) d\xi, \\ \psi(x) &= \int_0^1 G_\psi(x, \xi) w'(\xi) d\xi, \end{aligned} \quad (3)$$

სადაც

$$\begin{aligned}
G_u(x, \xi) &= \begin{cases} \frac{1}{2}(x-1), & x > \xi, \\ \frac{1}{2}x, & x < \xi, \end{cases} \\
G_p(x, \xi) &= \begin{cases} \xi(1-x), & x > \xi, \\ x(1-\xi), & x < \xi, \end{cases} \\
G_\psi(x, \xi) &= \begin{cases} -\frac{\sigma}{\sinh \sigma} \cosh \sigma(x-1) \cosh \sigma \xi, & x > \xi, \\ -\frac{\sigma}{\sinh \sigma} \cosh \sigma x \cosh \sigma(\xi-1), & x < \xi, \end{cases}
\end{aligned} \tag{4}$$

და

$$\sigma = \frac{k_0}{h} \sqrt{6(1-\nu)}.$$

(1) სისტემის მეორე განტოლებაში (3)-ის გათვალისწინებით მივიღებთ განტოლებას $w(x)$ ფუნქციისთვის

$$\begin{aligned}
&\frac{Eh}{1-\nu^2} \left[\left(\frac{1-\nu}{2} k_0^2 + \frac{1}{2} \int_0^1 w'^2 dx + \int_0^1 (1-x)p(x)dx - \int_0^x p(\xi)d\xi \right) w'' - p(x)w' \right] \\
&- \frac{3Ek_0^4}{h \sinh \sigma} \frac{1-\nu}{1+\nu} (\sinh \sigma(x-1) \int_0^x \cosh \sigma \xi w'(\xi) d\xi \\
&+ \sinh \sigma x \int_x^1 \cosh \sigma(\xi-1) w'(\xi) d\xi) + q(x) = 0,
\end{aligned} \tag{5}$$

(2)-დან კი გამოვეყოფთ სასაზღვრო პირობას

$$w(0) = w(1) = 0. \tag{6}$$

(5),(6) ამოცანის ამოხსნის შემდეგ, ჩავსვამთ $w(x)$ -ს (3)-ში და ვიპოვით დარჩენილ უცნობ $u(x)$ და $\psi(x)$ ფუნქციებს.

3. ალგორითმი

განვიხილოთ (5),(6) ამოცანის ამოხსნის რიცხვითი ალგორითმი, რომელიც იმ შემთხვევაში, როცა $p(x) = 0$ გამოყენებულია [7]-ში. $w(x)$ -ის მიახლოებით ამონახსნს ვეძებთ შემდეგი სახით

$$w_n(x) = \sum_{i=1}^n \frac{1}{i\pi} w_{ni} \sin i\pi x, \quad (7)$$

სადაც გალიორკინის მეთოდის გამოყენებისას[4], w_{ni} კოეფიციენტები აკმაყოფილებს არაწრფივ განტოლებათა სისტემას

$$(p_{1i} + p_2 + \sum_{j=1}^n w_{nj}^2) w_{ni} + \sum_{j=1}^n p_{3ij} w_{nj} + \frac{1}{i} q_i = 0, \quad i = 1, 2, \dots, n. \quad (8)$$

გამოვიყენოთ შემდეგი პარამეტრები

$$p_{1i} = \frac{1}{\frac{1}{2k_0^2(1-\nu)} + \frac{3}{(h\pi i)^2}}, \quad p_2 = 4 \int_0^1 (1-x)p(x)dx$$

$$p_{3ij} = 8 \left(-\frac{j}{i} \int_0^1 \left(\int_0^x p(\xi) d\xi \right) \sin i\pi x \sin j\pi x dx + \frac{1}{i\pi} \int_0^1 p(x) \sin i\pi x \cos j\pi x dx \right), \quad (9)$$

$$q_i = -\frac{8(1-\nu^2)}{Eh\pi} \int_0^1 q(x) \sin i\pi x dx - \frac{8(1-\nu^2)}{Eh\pi} \int_0^1 q(x) \sin i\pi x dx.$$

შევნიშნოთ, რომ (8) სისტემის i -ური განტოლების მისაღებად, (5)-ს მარჯვენა მხარეში $w(x)$ უნდა ჩავანაცვოთ $w_n(x)$ -ით, გავამრავლოთ მიღებული განტოლება $\frac{1}{i\pi} \sin i\pi x$ -ზე და ამის შემდეგ გამოვიყენოთ ტოლობები

$$\int_0^1 \sin i\pi x \sin j\pi x dx = \begin{cases} 0, & i \neq j, \\ \frac{1}{2}, & i = j, \end{cases}$$

$$\int e^{ax} \sin bx dx = \frac{e^{ax}}{a^2 + b^2} (a \sin bx - b \cos bx),$$

$$\int e^{ax} \cos bx dx = \frac{e^{ax}}{a^2 + b^2} (a \cos bx + b \sin bx),$$

ვანტეგროთ x -ის მიმართ 0-დან 1-მდე და გავუტოლოთ შედეგი ნულს. (8) სისტემა ამოვხსნათ იტერაციული მეთოდით

$$(p_{1i} + p_2 + w_{ni,k+1}^2 + \sum_{\substack{j=1 \\ j \neq i}}^n w_{nj,k}^2) w_{ni,k+1} + p_{3ii} w_{ni,k+1} + \sum_{\substack{j=1 \\ j \neq i}}^n p_{3ij} w_{nj,k} + \frac{1}{i} q_i = 0, \quad (10)$$

$$k = 0, 1, \dots, \quad i = 1, 2, \dots, n,$$

სადაც $w_{ni,k+l}$ არის w_{ni} -ს $(k+l)$ -ე მიახლოება, $l = 0, 1$. ეს მეთოდი იაკობის იტერაციული მეთოდია [6]. $w_{ni,k}$, $i = 1, 2, \dots, n$ -ს განსაზღვრის შემდეგ, ჩვენ მას ვიყენებთ (7) ფორმულაში w_{ni} -ის ნაცვლად და, შედეგად, ვპოულობთ $w(x)$ ფუნქციის მიახლოებას, რომლის (3)-ში გამოყენებით ვპოულობთ $u(x)$ და $\psi(x)$ ფუნქციების მიახლოებებს.

შევნიშნოთ, რომ (10) სისტემის ყოველი i -ური განტოლება კუბურია $w_{ni,k+1}$ -ის მიმართ. ამიტომ, კარდანოს ფორმულის გამოყენებით [1], $w_{ni,k+1}$ შეგვიძლია ჩავწეროთ ცხადი სახით

$$w_{ni,k+1} = \sigma_{i,l} - \sigma_{i,2}, \quad k = 0, 1, \dots, \quad i = 1, 2, \dots, n, \quad (11)$$

სადაც

$$\sigma_{i,l} = \left[(-1)^l \frac{s_i}{2} + \left(\frac{s_i^2}{4} + \frac{r_i^3}{27} \right)^{\frac{1}{2}} \right]^{\frac{1}{3}}, \quad l = 1, 2, \quad (12)$$

$$r_i = p_{1i} + p_2 + p_{3ii} + \sum_{\substack{j=1 \\ j \neq i}}^n w_{nj,k}^2, \quad s_i = \frac{1}{i} q_i + \sum_{\substack{j=1 \\ j \neq i}}^n p_{3ij} w_{nj,k}. \quad (13)$$

4. იტერაციული მეთოდის კრებადობა

გადავწეროთ (11) სისტემა შემდეგი სახით

$$w_{ni,k+1} = \varphi_i(w_{n1,k}, w_{n2,k}, \dots, w_{nn,k}) \quad (14)$$

და განვიხილოთ მისი იაკობის მატრიცი

$$J = \left(\frac{\partial \varphi_i}{\partial w_{nj,k}} \right)_{i,j=1}^n. \quad (15)$$

(11)–(14)-ის ძალით დავასკვნით, რომ J მატრიცის დიაგონალური ელემენტები ნულის ტოლია, ხოლო არადიაგონალური ელემენტებისათვის მართებულია

$$\frac{\partial \varphi_i}{\partial w_{nj,k}} = -\frac{1}{6} \sum_{l=1}^2 \frac{1}{\sigma_{i,l}^2} \left[p_{3ij} + (-1)^l \left(\frac{s_i^2}{4} + \frac{r_i^3}{27} \right)^{-\frac{1}{2}} \left(\frac{s_i}{2} p_{3ij} + \frac{2}{9} r_i^2 w_{nj,k} \right) \right]. \quad (16)$$

(12)-დან გამომდინარეობს

$$\sigma_{i,1} \cdot \sigma_{i,2} = \frac{r_i}{3}, \quad \sigma_{i,2}^3 - \sigma_{i,1}^3 = s_i, \quad \left(\frac{s_i^2}{4} + \frac{r_i^3}{27} \right)^{\frac{1}{2}} = \frac{\sigma_{i,1}^3 + \sigma_{i,2}^3}{2}. \quad (17)$$

ამ ფორმულების (16)-ში გამოყენებით ვიღებთ

$$\frac{\partial \varphi_i}{\partial w_{nj,k}} = -\frac{1}{6} p_{3ij} \frac{1}{\sigma_{i,1}^2 - \frac{r_i}{3} + \sigma_{i,2}^2} + \frac{2}{3} w_{nj,k} s_i \frac{1}{\sigma_{i,1}^4 + \left(\frac{r_i}{3}\right)^2 + \sigma_{i,2}^4}. \quad (18)$$

(17)-ის პირველი განტოლების გათვალისწინებით ვპოულობთ

$$\sigma_{i,1}^2 - \frac{r_i}{3} + \sigma_{i,2}^2 \geq \frac{1}{3} r_i, \quad \sigma_{i,1}^4 + \sigma_{i,2}^4 \geq \frac{2}{9} r_i^2. \quad (19)$$

(18) და (19)-დან გამომდინარე ვწერთ

$$\left| \frac{\partial \varphi_i}{\partial w_{nj,k}} \right| \leq \phi_{1ij} + \phi_{2ij}, \quad (20)$$

სადაც

$$\phi_{1ij} = \frac{1}{2} |p_{3ij}| \frac{1}{|r_i|}, \quad \phi_{2ij} = 2 |w_{nj,k}| |s_i| \frac{1}{r_i^2}. \quad (21)$$

შევაფასოთ ყოველი ϕ_{lij} , $l = 1, 2$. დავუშვათ (1),(2) ამოცანაში ფუნქცია $p(x)$ და ν , E , h და k_0 კონსტანტები ისეთებია, რომ

$$p_{li} > |p_2 + p_{3ii}| \quad (22)$$

(9)-დან გამომდინარე, (22) ნიშნავს, რომ

$$\left(\frac{1}{2k_0^2(1-\nu)} + \frac{3}{(hi\pi)^2} \right)^{-1} > |4 \int_0^1 (1-x)p(x)dx - 8 \int_0^1 \left(\int_0^x p(\xi)d\xi \right) \sin^2 i\pi x dx + \frac{4}{i\pi} \int_0^1 p(x) \sin 2i\pi x dx|, \quad (23)$$

$$i = 1, 2, \dots, n.$$

ამ შემთხვევაში, (21) და (12)-ის ძალით გვაქვს

$$\phi_{lij} \leq \frac{1}{2c_i} |p_{3ij}|, \quad (24)$$

სადაც

$$c_i = p_{li} - |p_2 + p_{3ii}|.$$

მეტიც, თუ გამოვიყენებთ (21), (22), (13) და ფაქტს, რომ

$$\max_x \frac{x}{c+x^2} = \frac{1}{2\sqrt{c}}, \quad x > 0, \quad c > 0,$$

მივალთ იმ დასკვნამდე, რომ

$$\begin{aligned} \phi_{2ij} &= 2 \frac{|w_{nj,k}| |s_i|}{|r_i| r_i} \leq 2 \frac{|w_{nj,k}|}{c_i + w_{nj,k}^2} \left(\frac{1}{i} \frac{|q_i|}{c_i} + \frac{1}{c_i + \sum_{l=1, l \neq i}^n w_{nl,k}^2} \left(\sum_{l=1, l \neq i}^n p_{3il}^2 \right)^{\frac{1}{2}} \left(\sum_{l=1, l \neq i}^n w_{nl,k}^2 \right)^{\frac{1}{2}} \right) \\ &\leq \frac{1}{\sqrt{c_i}} \left(\frac{1}{i} \frac{|q_i|}{c_i} + \frac{1}{2\sqrt{c_i}} \left(\sum_{l=1, l \neq i}^n p_{3il}^2 \right)^{\frac{1}{2}} \right). \end{aligned} \quad (25)$$

შემოვიღოთ ვექტორული და მატრიცული ნორმები

$$\sum_{i=1}^n |v_i| \quad v = (v_i)_{i=1}^n \text{-თვის}$$

$$\max_{1 \leq j \leq n} \sum_{i=1}^n |m_{ij}| \quad M = (m_{ij})_{i,j=1}^n \text{-თვის.}$$

დავუშვათ J მატრიცის ნორმა ნაკლებია Δ -ზე, $0 < \Delta < 1$. (15), (20), (24) და (25)-ის გათვალისწინებით, ეს მოთხოვნა სრულდება, თუ

$$\frac{1}{2} \max_{1 \leq j \leq n} \sum_{\substack{i=1 \\ i \neq j}}^n \frac{1}{c_i} |p_{3ij}| + \frac{1}{2} \sum_{i=1}^n \frac{1}{c_i} \left(2 \frac{|q_i|}{i \sqrt{c_i}} + \left(\sum_{\substack{j=1 \\ j \neq i}}^n p_{3ij}^2 \right)^{\frac{1}{2}} \right) < \Delta < 1. \quad (26)$$

მაშინ, ბანახის კუმშვის პრინციპიდან გამომდინარე [3] არსებობს (8) სისტემის ერთადერთი ამონახსნი w_{ni} , $i = 1, 2, \dots, n$, რომლისკენაც იკრიბება $w_{ni,k}$ მიახლოებების მიმდევრობა, როცა $k \rightarrow \infty$, ხოლო ცდომილება მცირდება გეომეტრიული პროგრესიის სიჩქარით

$$\sum_{i=1}^n |w_{ni} - w_{ni,k}| \leq \frac{\Delta^k}{1 - \Delta} \sum_{i=1}^n |w_{ni,1} - w_{ni,0}|, \quad k = 0, 1, \dots \quad (27)$$

ახლა (23) და (26) პირობები ჩავანაცვლოთ უფრო უხეში, მაგრამ ადვილად შესამოწმებელი პირობებით. ამისათვის, (22)-ის ნაცვლად მოვითხოვოთ $p_{li} > |p_2| + |p_{3ii}|$ პირობის შესრულება, შემდეგ გამოვიყენოთ (8), (9) და კომი-ბუნიაკოვსკის უტოლობა. გვექნება

$$\begin{aligned} \left| \int_0^1 (1-x)p(x)dx \right| &\leq \frac{1}{\sqrt{3}} p_0, & \left| \int_0^1 \left(\int_0^x p(\xi)d\xi \right) \sin i\pi x \sin j\pi x dx \right| &\leq \frac{1}{2\sqrt{2}} p_0, \quad i \neq j, \\ \left| \int_0^1 \left(\int_0^x p(\xi)d\xi \right) \sin^2 i\pi x dx \right| &\leq \frac{\sqrt{3}}{4} p_0, & \left| \int_0^1 p(x) \sin i\pi x \cos j\pi x dx \right| &\leq \frac{1}{2} p_0, \quad i \neq j, \\ \left| \int_0^1 p(x) \sin i\pi x \cos i\pi x dx \right| &\leq \frac{1}{2\sqrt{2}} p_0, & \left| \int_0^1 q(x) \sin i\pi x dx \right| &\leq \frac{1}{\sqrt{2}} q_0, \end{aligned}$$

სადაც

$$p_0 = \left(\int_0^1 p^2(x) dx \right)^{\frac{1}{2}}, \quad q_0 = \left(\int_0^1 q^2(x) dx \right)^{\frac{1}{2}}. \quad (28)$$

შედეგად, (23) მოთხოვნის ნაცვლად შეგვიძლია ჩავწეროთ

$$c = \left(\frac{1}{k_0^2(1-\nu)} + \frac{6}{(h\pi)^2} \right)^{-1} - \left(\frac{5}{\sqrt{3}} + \frac{\sqrt{2}}{\pi} \right) p_0 > 0. \quad (29)$$

(26) ჩანაცვლება შემდეგი პირობით

$$\frac{1}{2c} \left(\left(\frac{1}{\pi} + \left(\frac{1}{\sqrt{2}} + \frac{4}{\pi} \right) n + \sqrt{2}(n-1)n \right) p_0 + 8\sqrt{\frac{2}{c}} \frac{1-\nu^2}{Eh\pi} q_0 \right) \sum_{i=1}^n \frac{1}{i} < \Delta < 1. \quad (30)$$

არაა რთული იმის გადამოწმება, რომ (23) და (26) პირობები, ისევე, როგორც (29) და (30) სამართლიანია საკმარისად მცირე $p(x)$ და $q(x)$ ფუნქციებისათვის.

5. იტერაციული პროცესის ცდომილება u , w და ψ ფუნქციებისათვის

შევაფასოთ იტერაციული პროცესის ცდომილება $w(x)$ ფუნქციისათვის. ცდომილების ქვეშ ვგულისხმობთ სხვაობას (7) -სა და $w_{n,k}(x) = \sum_{i=1}^n \frac{1}{i\pi} w_{ni,k} \sin i\pi x$ ფუნქციას შორის, რომელიც მიიღება (11) იტერაციული პროცესის ჩატარების შედეგად, ანუ ფუნქცია

$$w_n(x) - w_{n,k}(x) = \sum_{i=1}^n \frac{1}{i\pi} (w_{ni} - w_{ni,k}) \sin i\pi x. \quad (31)$$

(27)-ის ძალით, ამ ცდომილობის $L_2(0,1)$ ნორმისთვის გვექნება

$$\left\| \frac{d^l}{dx^l} (w_n(x) - w_{n,k}(x)) \right\|_{L_2(0,1)} \leq \frac{\Delta^k}{\sqrt{2}\pi^{1-l}(1-\Delta)} \sum_{i=1}^n |w_{ni,1} - w_{ni,0}|, \quad l = 0,1, \quad k = 0,1,\dots \quad (32)$$

თუ გამოვიყენებთ $w_n(x)$, $w_{n,k}(x)$ და (3) ფორმულებს, ავაგებთ $u_n(x)$ და $\psi_n(x)$ ფუნქციებს

$$\begin{aligned} u_n(x) &= \int_0^1 G_u(x, \xi) w_n'^2(\xi) d\xi + \int_0^1 G_p(x, \xi) p(\xi) d\xi, \\ \psi_n(x) &= \int_0^1 G_\psi(x, \xi) w_n'(\xi) d\xi \end{aligned} \quad (33)$$

და მათ მიახლოებებს

$$\begin{aligned} u_{n,k}(x) &= \int_0^1 G_u(x, \xi) w_{n,k}'^2(\xi) d\xi + \int_0^1 G_p(x, \xi) p(\xi) d\xi, \\ \psi_{n,k}(x) &= \int_0^1 G_\psi(x, \xi) w_{n,k}'(\xi) d\xi. \end{aligned} \quad (34)$$

(31)-ის ანალოგიურად, განვსაზღვრავთ იტერაციის ცდომილებებს $u(x)$ და $\psi(x)$ ფუნქციებისთვის, როგორც $u_n(x) - u_{n,k}(x)$ და $\psi_n(x) - \psi_{n,k}(x)$ სხვაობებს და შევაფასებთ მათ $L_2(0,1)$ ნორმით. (33) და (34)-დან გვაქვს

$$u_n(x) - u_{n,k}(x) = \int_0^1 G_u(x, \xi) (w_n'^2(\xi) - w_{n,k}'^2(\xi)) d\xi \quad (35)$$

და

$$\psi_n(x) - \psi_{n,k}(x) = \int_0^1 G_\psi(x, \xi) (w_n(\xi) - w_{n,k}(\xi)) d\xi. \quad (36)$$

(35) და (4)-დან მივიღებთ

$$(u_n(x) - u_{n,k}(x))^2 = \frac{1}{4} [(x-1)^2 \left(\int_0^x H(\xi) d\xi \right)^2 + 2x(x-1) \int_0^x H(\xi) d\xi \int_x^1 H(\xi) d\xi + x^2 \left(\int_x^1 H(\xi) d\xi \right)^2],$$

სადაც

$$H(\xi) = w_n'^2(\xi) - w_{n,k}'^2(\xi).$$

მაშინ

$$(u_n(x) - u_{n,k}(x))^2 \leq \left(x - \frac{1}{2} \right)^2 \left(\int_0^1 |H(\xi)| d\xi \right)^2. \quad (37)$$

შევაფასოთ $\int_0^1 |H(\xi)| d\xi$. ვინაიდან

$$w_{n,k}(\xi) = w_n(\xi) + (w_{n,k}(\xi) - w_n(\xi))$$

ამიტომ

$$\int_0^1 |H(\xi)| d\xi \leq \left\| (w_n(x) - w_{n,k}(x)) \right\|_{L_2(0,1)} \left(2 \left\| w_n'(x) \right\|_{L_2(0,1)} + \left\| (w_n'(x) - w_{n,k}'(x)) \right\|_{L_2(0,1)} \right). \quad (38)$$

უნდა მივიღოთ $w'_n(x)$ -ის ნორმის შეფასება. გავამრავლოთ (8) გამოსახულება w_{ni} -ზე და ავჯამოთ $i = 1, 2, \dots, n$ -ს მიმართ, მივიღებთ

$$\sum_{i=1}^n p_{1i} w_{ni}^2 + (p_2 + \sum_{i=1}^n w_{ni}^2) \sum_{i=1}^n w_{ni}^2 + \sum_{i=1}^n (\sum_{j=1}^n p_{3ij} w_{nj}) + \sum_{i=1}^n \frac{1}{i} q_i w_i = 0.$$

ამიტომ, (9)-ის გათვალისწინებით დავასკვნით, რომ

$$\left(\sum_{i=1}^n w_{ni}^2\right)^2 + (\omega_1 - \varepsilon) \sum_{i=1}^n w_{ni}^2 - \frac{1}{4\varepsilon} \omega_2 \leq 0,$$

სადაც

$$\omega_1 = \left(\frac{1}{2k_0^2(1-\nu)} + \frac{3}{(h\pi)^2} \right)^{-1} - (|p_2| + \left(\sum_{i=1}^n \sum_{j=1}^n p_{3ij}^2\right)^{\frac{1}{2}}), \quad \omega_2 = \sum_{i=1}^n \left(\frac{1}{i} q_i\right)^2,$$

ხოლო ε არის ნებისმიერი დადებითი რიცხვი. აქედან (7)-ის გათვალისწინებით ვპოულობთ

$$\|w'_n\|_{L_2(0,1)} \leq \frac{1}{4} \left[\left((\omega_1 - \varepsilon)^2 + \frac{1}{\varepsilon} \omega_2 \right)^{\frac{1}{2}} - (\omega_1 - \varepsilon) \right].$$

გამოვიყენოთ ეს უტოლობა (38) და (32)-თან ერთად (37)-ში, მივიღებთ იტერაციის ცდომილობის შეფასებას $u(x)$ ფუნქციისათვის

